დუშეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №1

07 თებერვალი 2019 წელი

ქ. დუშეთი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი თანიაშვილი - მერის პირველი მოადგილე.

კომისიის წევრები:

მარიამ ზაქაიძე – მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დავით შაბურიშვილი- საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურის ერთეულის ხელმძღვანელი;

ზურაბ ყაჭიური - ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ვლადიმერ კობაიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ლაშა სალბიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

იოსებ ღარიბაშვილი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის აპარატი:

ვალოდია პაპუკაშვილი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ირმა ჩოხელი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომას არ ესწრებოდა:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ზაქარია ხეხელაშვილი - მერის მოადგილე.

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით, ქ. დუშეთში, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების რეაბილიტაციის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 119 382,00 (ას ცხრამეტი ათას სამას ოთხმოცდაორი) ლარი.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის მარიამ ზაქაიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით ქ. დუშეთში მუნიციპალიტეტი, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 119 382,00 (ას ცხრამეტი ათას სამას ოთხმოცდაორი) ლარი.

დაადგინეს:

1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი (ტენდერი გამოცხადდეს დღგ-ს გათვალისწინებით);

2) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: https://tenders.procurement.gov.ge

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: /გ. თანიაშვილი/

კომისიის წევრები:

/მ. ზაქაიძე/

/ზ.ყაჭიური/

/დ. შაბურიშვილი/

/ი. ღარიბაშვილი/

/ლ. სალბიშვილი/

/ვ. კობაიძე/

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: /ვ. პაპუკაშვილი/

/ი. ჩოხელი/

Dusheti Municipality

Digitally signed by Dusheti Municipality
Date: 2019.02.07 15:37:15 +04'00'